ხელშეკრულება

(მიწის ნაკვეთისა და მასზე მდებარე შენობა–ნაგებობის ავტოგასამართი სადგურის იჯარის შესახებ)

ქ. თბილისი 16.06.2021 წელი

შპს „NB-PETROL" (ს/კ: 226521644), წარმოდგენილი დირექტორის მურმან კორძაიას (პ/ნ: 12001033324) სახით ერთის მხრივ, [შემდგომში „მეიჯარე"] და **შპს "გალონი"** (ს/კ: 405385006) წარმოდგენილი მისი დირექტორის, გიგა ჩოკოშვილი (პ/ნ: 01027051922) სახით მეორეს მხრივ, [შემდგომში „მოიჯარე"], ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობით და ჩვენთვის მონიჭებული უფლებამოსილებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი:

1.1 წინამდებარე ხელშეკრულებით „მეიჯარე", მოიჯარის ეკონომიკური საქმიანობიდან გამომდინარე დროებით მფლობელობასა და სარგებლობაში გადასცემს მის საკუთრებაში არსებულ, 1624 კვ.მ. ფართის მიწის ნაკვეთის (ს/კ: **81.08.17.679**) ნაწილს 1024 კვ.მ. მიწის ნაკვეთს მასზე მდებარე შენობა–ნაგებობა#1 და ყველა შენობა–ნაგებობას (ავტოგასამართ სადგურს [შემდგომში „აგს"]), (მდებარე ქ. თბილისი დიდი ლილო ს/კ **81.08.17.679**, საცალო სტაციონალური კოდი# 1410628), რომელსაც მოიჯარე გამოიყენებს საკუთარი ან/და მასთან სახელშეკრულებო ურთიერთობებით დაკავშირებული მესამე პირის კუთვნილი ნავთობპროდუქტების მეიჯარის კუთვნილ ავზებში მიღება-გადატვირთვის ოპერაციების განხორციელებისათვის ბენზინგასამართი სადგურზე ნავთობპროდუქტების ყიდვა-გაყიდვისა და სხვა კანონით დაშვებული ნებისმიერი საქმიანობის განსახორციელებლად, რის სანაცვლოდაც მოიჯარე უხდის მეიჯარეს იჯარის ქირას წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ოდენობით და წესით.

1.2 უძრავი ქონება მეიჯარეს ეკუთვნის თანახმად ამონაწერისა (საჯარო რეესტრიდან) გაცემული საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ [განცხადების რეგისტრაციის ნომერი და თარიღი: 882021024066 - 18/01/2021].

1.3 მოიჯარე წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ და მეიჯარის მიერ სტაციონალური კოდის მიღების შემდეგ უფლებამოსილია დარეგისტრირდეს შესაბამის ორგანოებში სტაციონალური კოდის მფლობელად/მოსარგებლედ და წინამდებარე ხელშეკრულებით მოიჯარე უფლებამოსილია ნებისმიერი მესამე პირი დაარეგისტრიროს აღნიშნული კოდების მოსარგებლედ, ხოლო მეიჯარე ვალდებულია დაარეგისტრიროს მოიჯარე კოდის მოსარგებლედ.

1.4 "მეიჯარე" იძლევა გარანტიას რომ წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტისთვის მას არა აქვს დადებული რაიმე ხელშეკრულება და შეთანხმება, არ აქვს ნაკისრი წერილობით თუ ზეპირი სახით რაიმე ვალდებულება, რამაც შეიძლება შეაფერხოს, შეაჩეროს ან შეუძლებელი გახადოს ამ ხელშეკრულებით პირობების შესრულება.

1.5 "მეიჯარე" ადასტურებს, რომ წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტისთვის იგი არ აწარმოებს სასამართლო, საარბიტრაჟო თუ ადმინისტრაციულ დავას ან განხილავს, რაც დაკავშირებულია "საიჯარო ქონებასთან" და რამაც შეიძლება შეაფერხოს, შეაჩეროს ან შეუძლებელი გახადოს იჯარის პირობების აღსრულება.

1.6 "საიჯარო ქონების" ან მისი ცალკეული ნაწილის მეიჯარის მიერ გაყიდვის შემთხვევაში, "მოიჯარეს" გააჩნია გასაყიდი ქონების (საიჯარო ქონების) უპირატესი შესყიდვის უფლება.

1.7 წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებით "მოიჯარე" უფლებამოსილია მეიჯარესთან წინასწარი შეთანხმების გარეშე, თავის შეხედულებისამებრ განახორციელოს "საიჯარო ქონებაზე" სარემონტო სამუშაოები და ბენზინგასამართი სადგურის რებრენდინგი.

1.8. ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით მხარეები თანხმდებიან, ხოლო „მეიჯარე" ადასტურებს, რომ წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების მომენტისათვის საიჯარო ქონების ტერიტორიაზე არის "მოიჯარის"-ს საკუთრებაში არსებული შემდეგი მოძრავი ნივთები: 1) 2 ცალი საწვავის ჩამომსხმელი სვეტი (8 „ფისტოლეტიანი")რომლის ჯამური ღირებულება არის 43823.2 ლარი. 2)ერთი ცალი ფასმაჩვენებელი „სტელა", რომლის ღირებულებაა 4720 ლარი. 3) ერთი ცალი სარეკლამო ბანერი, რომლის ჯამური ღირებულება შეადგენს 15280 ლარს. 4) ერთი ცალი კომპიუტერი, რომლის ღირებულებაა 500 ლარი. 5)4 ცალი ვიდეოსათვალთვალო კამერა თავისი მოწყობილობებით, რომლის ჯამური ღირებულებაა 1511 ლარი. 6) ერთი ცალი დივანი, რომლის ღირებულებაა 400 ლარი. 7) 3 ცალი მაგიდა , რომელთა ღირებულებაა600 ლარი.8) ერთი ცალი სალარო, რომლის ღირებულებაა 390 ლარი.,

9) სახანძრო სტენდი ღირებულებით 270 ლარი. 10) 3 ერთეული სანვავის ავზი, შემდეგი , რომლის ღირებულებაა 8100 ლარი. 11) ერთი ცალი ნასოსი, ღირებულებით 1000 ლარი. 12) ერთი ცალი სეიფი, ღირებულებით 110 ლარი. ასევე მხარეები თანხმდებიან, რომ მოიჯარემ ჩაატარა აგს-ის სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაობი, რომლის ჯამურმა ღირებულებამ, შეადგინა 54855.19 ლარი. [შემდგომში „მოიჯარის ქონება"]. „მხარეთა" განმარტებით „მოიჯარის ქონების" ჯამური ღირებულება შედაგენს 131 559,39 [ასოცდათერთმეტი ათას ხუთასორმოცდაცხრამეტი ლარი და 39 თეთრი] ლარს, დღგ-ს ჩათვლით. „მხარეები" აქვე თანხმდებიან, ხოლო „მეიჯარე" ადასტურებს, რომ აღნიშნული ნივთები [„მოიჯარის ქონება"] არის მოიჯარის საკუთრება და აღნიშნული იჯარის ხელშეკრულების ნებისმიერ მიზეზით შეწყვეტის ან ვადის გასვლის შემთხვევაში/დროს, მოიჯარე უფლებამოსილია მოხსნას და წამიღოს აღნიშნული ნივთები საიჯარო ტერიტორიიდან, იმ შემთხვევაში, თუკი შესაძლებელია მისი გამოცალკევება საიჯარო ქონების დაზიანებისა და მისი დანიშნულების მოსპობის გარეშე.

2. ხელშეკრულების პირობები:

2.1. მხარეთა უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება ამ ხელშეკრულებითა და მოქმედი კანონმდებლობით.

2.2. საიჯარო ქონება გამოყენებულ უნდა იქნეს წინამდებარე ხელშეკრულების 1.1. პუნქტით გათვალისწინებული სამეწარმეო საქმიანობისთვის, კერძოდ ძირითადი საშუალებები გამოყენებული იქნეს ნავთობპროდუქტების მიღება, შენახვის, ყიდვა–გაყიდვის და გაცემისათვის. მათ შორის საიჯარო მიწის ნაკვეთი გამოყენებულ უნდა იქნას ნავთობპროდუქტების მიღება, შენახვისა და გაცემის უზრუნველსაყოფად საჭირო ძირითადი საშუალებების განთავსებისათვის და სხვა ნებისმიერი კომერციული საქმიანობის განსახორციელებლად.

2.3. იმ შემთხვევაში თუკი შეიცვლება საიჯარო ქონების მესაკუთრე, მაშინ მეიჯარის ადგილს ამ ხელშეკრულებაში დაიკავებს ახალი მესაკუთრე და ახალი მესაკუთრე გახდება წინამდებარე საიჯარო ხელშეკრულებაში მეიჯარის უფლებამონაცვლე.

2.4. "მოიჯარე" არ აგებს პასუხს საიჯარო ქონების ხარისხის იმ ცვლილებებისთვის, რაც გამოწვეულია საიჯარო ქონების ხელშეკრულებით დადგენილი მიზნის შესაბამისად სარგებლობით (აღნიშნული ქონების სწორი ექსპლუატაციისათვის).

2.5. "მოიჯარეს" უფლება აქვს საიჯარო ქონება გასცეს ქვეიჯარით ნებისმიერ მესამე პირზე "მეიჯარის" წერილობითი თანხმობის გარეშე.

2.6. მოიჯარე პასუხს აგებს საიჯარო ქონების მოვლა პატრონობისათვის.

3. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები:

3.1 „მოიჯარე" ვალდებულია:

3.1.1 გადაუხადოს `მეიჯარეს" საიჯარო თანხა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობით, ვადებსა და პირობებში;

3.1.2 გაუფრთხილდეს "მეიჯარის" ქონებას;

3.1.3 ქონება გამოიყენოს მხოლოდ დანიშნულებისამებრ;

3.1.4 საიჯარო ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში დაამონტაჟოს ელ. მრიცხველი და გადაიხადოს ელ. ენერგიის გადასახადი და სხვა კომუნალური გადასახადი, ასევე გადაიხადოს ტექნიკური წყლის ხარჯვის საფასური მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში;

3.1.5 თავისი ბრალეული ან/და გაუფრთხილებელი ქმედებით ქონების დაზიანების შემთხვევაში საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს დაზიანებული ქონების შეკეთება ან/და აღდგენა;

3.1.6 წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში საიჯარო ქონებას საჭიროებისამებრ ჩაუტაროს მიმდინარე რემონტი;

3.1.7 წინამდებარე ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდგომ მეიჯარეს ქონება დაუბრუნოს იმ მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიც იყო წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებამდე ბუნებრივი ცვეთის გათვალისწინებით;

3.1.8 კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებები;

3.1.9 შეატყობინოს მეიჯარეს ყველა ის საკითხი, ან გარემოება, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს საიჯარო ქონებაზე;

3.1.10 წარუდგინოს მეიჯარეს მისი მოთხოვნის საფუძველზე, საიჯარო ქონების ტექნიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებული ინფორმაცია;

3.1.11 უზრუნველყოს იჯარით აღებული ქონების მოქმედი სტანდარტებისა და წესების შესაბამისად ექსპლუატაცია.

3.1.12 დაწესებული ნორმებით დაიცვას შრომის, ტექნიკური და სახანძრო უსაფრთხოება;

3.1.13 გადაიხადოს ხელშეკრულებით ქონების იჯარით გადაცემის, სანოტარო დამოწმების, საჯარო რეესტრში რეგისტრაციის და ამისათვის აუცილებელი საბუთების წარდგენის ხარჯები;

3.1.14 საიჯარო ქონების გამოყენების შემთხვევაში გარემოზე ნებისმიერ ზიანის მიყენების შემთხვევაში მოიჯარე პასუხისმგებელია თვითონ, შესაბამისად იგი ვალდებულია სრულად აანაზღაუროს გარემოზე მიყენებული ზიანი, ასევე სახელმწიფო ორგანოების მხრიდან დაჯარიმების შემთხვევაში გადაიხადოს დაკისრებული ჯარიმა იმ შემთხვევაში თუ ჯარიმა გამოწვეულია მოიჯარის ბრალით.

3.2 „მოიჯარე" უფლებამოსილია:

3.2.1 ხელშეკრულების მიზნებისთვის შეუზღუდავად (დანიშნულებისამებრ) გამოიყენოს ხელშეკრულების საგანი;

3.2.2 მოითხოვოს ამ ხელშეკრულებით დადგენილი მეიჯარის ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება;

3.2.3 თავისი შეხედულებისამებრ, საიჯარო ქონებაზე განახორციელოს განსაზღვრული ინვესტიცია, განახორციელოს სარემონტო სამუშაოები და ბენზინგასამართი სადგურის რებრედინგი, საიჯარო ქონების გარემონტება და რებრედინგი განხორციელდება მოიჯარის სახსრებით და მოიჯარე აიღებს მას საკუთარ ბალანსზე.

3.2.4. ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ (ან ნებისმიერი მიზეზით ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემდეგ) თავის საკუთრებაში დაიტოვოს ქონების ის ნაწილი, რომლითაც მან აღჭურვა იჯარით აღებული ქონება იმ შემთხვევაში, თუკი შესაძლებელია მისი გამოცალკევება საიჯარო ქონების დაზიანებისა და მისი დანიშნულების მოსპობის გარეშე.

3.3 „მეიჯარე" ვალდებულია:

3.3.1 ხელშეკრულების მიზნებისთვის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში დანიშნულებისამებრ გამოაყენებინოს მოიჯარეს ხელშეკრულების საგანი;

3.3.2 "მოიჯარეს" სარგებლობისთვის გადასცეს საიჯარო ქონება ვარგის მდგომარეობაში, კერძოდ უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო მდგომარეობაში, „უფლებრივად უნაკლო" საიჯარო ქონების ქვეშ მხარეები გულისხმობენ იმას, რომ მესამე პირს არ აქვს და არ შეუძლია წაუყენოს მოთხოვნები მოიჯარეს საიჯარო ქონების გამო. „ნივთობრივად უნაკლო" საიჯარო ქონების ქვეშ მხარეები გულისხმობენ, რომ საიჯარო ქონება ვარგისია წინამდებარე ხელშეკრულების 1.1 მუხლში მითითებული მიზნით გამოყენებისათვის.

3.3.3. მხარეებისათვის ხელშეკრულების დადების მომენტისათვის ცნობილია ქონების მდგომარეობა, რისთვისაც მოიჯარე პრეტენზიას არ გამოხატავს, რაიმე ნაკლის ან დეფექტის შემდგომი ექსპლუატაციის დროს გამოვლენის შემთხვევაში მეიჯარე ვალდებულია გამოასწოროს აღნიშნული ნაკლი, ხოლო გამოუსწორებლობის შემთხვევაში მოიჯარე გამოასწორებს თავისი ხარჯით და აღნიშნულ თანხას გამოუქვითავს მეიჯარეს საიჯარო ქირიდან..

3.4 „მეიჯარე" უფლებამოსილია:

3.4.1 დროულად მიიღოს საიჯარო თანხა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობით, ვადებსა და პირობებში;

3.4.2 ნებისმიერ დროს დაათვალიეროს და შეამოწმოს საიჯარო ქონება;

3.4.3 მოიჯარის მიერ საიჯარო ქონების დაზიანების შემთხვევაში (თუ დადგინდა რომ ქონება დაზიანდა მოიჯარის ბრალეული ქმედებით) მოთხოვოს მოიჯარეს საიჯარო ქონების აღდგენა, ზიანის ანაზღაურება, ზემოაღნიშნული მუხლით გათვალისწინებული გარემოების დადგომის შემთხვევაში, მხარეები ცალსახად თანხმდებიან, რომ ზიანის მიყენებისა და ანაზღაურების საკითხი გადაწყდება სსიპ "ლევან სამხარაულის სახელობის ეროვნული ბიუროს" დასკვნის შესაბამისად, ექსპერტიზის ხარჯები ანაზღაურდება მხარეთა მიერ თანაბარწილად.

4. საიჯარო ქირა, გადახდის წესი და პირობები:

4.1 საიჯარო ქირის გადახდა მოიჯარის მიერ დაიწყება წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების მომენტიდან და საიჯარო ქირა თვეში განისაზღვრება 1725 აშშ დოლარის ექვივალენტ ლარის ოდენობით გადახდის დღეს არსებული ეროვნული ბანკის კურსით, დღგს ჩათვლით.

4.2 ანგარიშსწორება უნდა უნდა მოხდეს ყოველთვიურად, ყოველი მომდევნო თვის 10 რიცხვამდე.

4.3 ანგარიშსწორება მხარეებს შორის ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების გზით.

5. ფორს-მაჟორი:

5.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო, თუ მისი შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული სიტუაციით (ომი,

სამოქალაქო გადატრიალება, სტიქიური უბედურებები, ეპიდემია, პანდემია ხელისუფლების აქტები და ა.შ.). რაზედაც ატყობინებენ ერთმანეთს.

5.2 ფორს-მაჟორული სიტუაციის აღმოფხვრის შემდეგ მხარეები აგრძელებენ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

6. ხელშეკრულების პირობების შეცვლა, ხელშეკრულების ვადამდე მოშლა:

6.1 წინამდებარე ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება და/ან დამატება შეიძლება შეტანილი იქნეს მხარეების მიერ ხელმოწერილი შეთანხმებით საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

6.2 ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე მოიშალოს:

6.2.1 მხარეთა ორმხრივი წერილობითი შეთანხმებით;

6.2.2 საიჯარო ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის უფლება აქვს მხოლოდ მოიჯარეს, კერძოდ მოიჯარე უფლებამოსილია ყოველგვარი კომპენსაციების, ჯარიმის ახალი მოიჯარის ჩანაცვლების გარეშე, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე საკუთარი ინიციატივით ვადამდე შეწყვიტოს საიჯარო ხელშეკრულება, მეიჯარისათვის ოცდაათი დღით ადრე შეტყობინების მიცემის შემდეგ , რაზედაც მეიჯარე აცხადებს წინასწარ გამოუხმობ თანხმობას, აღნიშნული პუნქტით საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მოიჯარე იხდის, მხოლოდ შეწყვეტამდე არსებულ საიჯარო ქირას და კომუნალურ გადასახადებს.

6.2.3 იმ შემთხვევაში თუ "მოიჯარეს" საიჯარო ვადის განმავლობაში მეიჯარის მიერ ხელი შეეშალა საიჯარო ქონების მფლობელობასა თუ სარგებლობაში, ან/და "მეიჯარე" (ან/და მისი უფლებამონაცვლე/ახალ მესაკუთრე) ნებისმიერი მიზეზით ვადამდე ადრე მოშლის/შეწყვეტს ხელშეკრულებას, „მეიჯარეს" "მოიჯარის" სასარგებლოდ დაეკისრება მთელი საიჯარო ვადის განმავლობაში არსებული საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულება, საიჯარო ფართზე გაწეული დანახარჯების გადახდის ვალდებულება და მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება სრულად, როგორც ფაქტობრივად დამდგარი ზიანი ასევე მიუღებელი შემოსავალის სახით.

6.2.3. იმ შემთხვევაში თუ მოიჯარე საიჯარო ქონების უპირატესი შესყიდვის უფლებით არ ისარგებლებს და მეიჯარე საიჯარო ვადის განმავლობაში საიჯარო ქონებას გაასხვისებს სხვა პირზე, მაშინ მეიჯარე ვალდებულია 5 კალენდარული დღის ვადაში მოიჯარეს სრულად გადაუხადოს მის მიერ საიჯარო ქონებაზე განხორციელებული დანახარჯები (ინვესტიციები, რემონტისა თუ სხვა ხარჯების თანხა), რომლითაც გაუმჯობესდა საიჯარო ქონება, ხოლო ახალი მესაკუთრე დაიკავებს მეიჯარის ადგილს და გახდება წინამდებარე საიჯარო ურთიერთობაში მეიჯარის უფლებამონაცვლე საიჯარო ვადის დასრულებამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში, მეიჯარესა და ახალ მესაკუთრეს შორის დადებული/გაფორმებული ნასყიდობის შესახებ დოკუმენტი ავტომატურად ჩაითვლება ბათილად, რაზედაც მეიჯარე აცხადებს წინასწარ და გამოუხმობად თანხმობას.

7. დავათა განხილვა:

7.1 მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, რომ მოლაპარაკებისა და ურთიერთშეთანხმების გზით მოაგვარონ ყოველგვარი სადავო საკითხი, წარმოშობილი წინამდებარე ხელშეკრულებიდან.

7.2 თუ დავის გადაჭრა არ მოხერხდა ურთიერთშეთანხმების გზით, დაინტერესებული მხარე უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს ამ ხელშეკრულების შედგენის ადგილის მიხედვით საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მისი მოქმედების ვადა:

8.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ ხელშეკრულებაზე ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2026 წლის 5 ივლისამდე. აქვე მხარეები თანხმდებიან, რომ ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდგომ, საიჯარო ქონებაზე დროებით მფლობელობასა და სარგებლობაში გადაცემის უპირატესი უფლება გააჩნია „მოიჯარეს".

9. შეტყობინებები:

9.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

9.2. მხარეთა ადგილსამყოფელზე გაგზავნილი შეტყობინებები ითვლება მის მიერ მიღებულად მიუხედავად იმისა მისი რეალური ადგილსამყოფელი ემთხვევა თუ არა შეტყობინების გაგზავნის დღეს ხელშეკრულებაში დაფიქსირებულ მის მისამართს, თუ ახალი ადგილსამყოფელის და იქ გადასვლის თარიღის შესახებ მხარე წერილობით წინასწარ არ აცნობებს შეტყობინების გამგზავნ მხარეს.

9.3. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

10. ხელშეკრულების სხვა პირობები:

10.1. საკითხები, რომელიც არაა გათვალისწინებული ამ ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით.
10.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.
10.3. ხელშეკრულების რომელიმე ნაწილის ბათილად ცნობა არ ეხება ხელშეკრულების სხვა ნაწილების ბათილობას.
10.4. ხელშეკრულების ერთერთი მხარის მიერ რომელიმე უფლების გამოუყენებლობა არ წარმოადგენს ამ უფლებაზე უარის თქმას.
10.5. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს აქვს უფლება მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე ვალდებულებათა კეთილსინდისიერი შესრულება.
10.6. მხარეები იღებენ ვალდებულებას დაიცვან ერთმანეთის შესახებ ინფორმაციის საიდუმლოება, გაუფრთხილდნენ ერთმანეთის საქმიან რეპუტაციას და არ გაახმაურონ ხელშეკრულების პირობები, გარდა წინამდებარე ხელშეკრულებით ან მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
10.7. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 3 (სამი) ეგზემპლარად და ყოველ მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა, ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება მეიჯარესთან, მეორე მოიჯარესთან, ხოლო ერთი ეგზემპლარი ინახება საჯარო რეესტრში.

მხარეთა რეკვიზიტები:

"მოიჯარე"
შპს „გალონი"
ს.კ 405385006
მის: ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ილია ჭავჭავაძის II ჩიხი, N5, ბინა 7ა
e-mail: gigachoko@gmail.com

დირექტორი გიგა ჩოკოშვილი გ. ჩოკოშვილი

"მეიჯარე"
შპს " NB-PETROL"
ს/კ#226521644
მის:ქ. თბილისის, ისანი-სამგორის რაიონში, ს.
დიდი ლილო
ელექტრონული ფოსტა:
დირექტორი მურმან კორძაია